

1) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა ყველა ის ორნიშნა რიცხვი, რომელიც ბოლოვდება ორიანით. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) მასწავლებელმა რამდენნიშნა რიცხვები დაწერა დაფაზე?  
1) ერთნიშნა      2) ორნიშნა      3) სამნიშნა      4) ოთხნიშნა

2) ბ) რა ციფრით ბოლოვდება, მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი თითოეული რიცხვი?  
1) ნულით      2) ერთიანით      3) ორიანით      4) ცხრიანით

5) გ) რა ციფრით ბოლოვდება, მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი ყველა რიცხვის ჯამი?  
1) ნულით      2) ერთიანით      3) ორიანით      4) ცხრიანით

2) თბილისსა და ხაშურს შორის 120 კილომეტრია. დილის ათ საათზე ველოსიპედისტი თბილისიდან ხაშურისკენ გაემართა. იგი უცვლელი სიჩქარით მოძრაობდა. მან 36 კილომეტრი 3 საათში გაიარა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რა მანძილია თბილისსა და ხაშურს შორის?  
1) 156 კმ      2) 120 კმ      3) 84 კმ      4) 36 კმ

2) ბ) რა მანძილი გაიარა ველოსიპედისტმა 3 საათში?  
1) 156 კმ      2) 120 კმ      3) 84 კმ      4) 36 კმ

5) გ) რომელ საათზე ჩავა ველოსიპედისტი ხაშურში, თუ იგი არ შეისვენებს და სიჩქარეს არ შეცვლის?  
1) საღამოს 10 სთ-ზე      2) დილის 10 სთ-ზე      3) საღამოს 8 სთ-ზე      4) დილის 8 სთ-ზე

3) ბებია ცხრალიტრიან ვედროს წყლით ნახევრამდე ავსებდა და ცარიელ ასოთხმოცლიტრიან კასრში ასხამდა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რამდენლიტრიანი ვედროთი ასხამდა ბებია კასრში წყალს?  
1) ცხრალიტრიანით      2) ოთხლიტრნახევრიანით      3) ოთხლიტრიანით      4) ორლიტრიანით

2) ბ) რამდენლიტრიან კასრში ასხამდა ბებია წყალს?  
1) ცხრალიტრიანში      2) ოთხმოცლიტრიანში  
3) ოთხმოცდაათლიტრიანში      4) ასოთხმოცლიტრიანში

7) გ) ბებია კასრში რამდენჯერ ჩაასხა წყალი, თუ მან კასრი ნახევრამდე გაავსო?  
1) 90-ჯერ      2) 45-ჯერ      3) 20-ჯერ      4) 10-ჯერ

4) მასწავლებელმა დაფაზე ისეთი ორნიშნა რიცხვი დაწერა, რომლის 2-ზე, 3-ზე, 4-ზე, 5-ზე და 6-ზე გაყოფის შედეგად ნაშთში ვიღებთ ერთს?

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) მასწავლებელმა რამდენნიშნა რიცხვი დაწერა დაფაზე?  
1) ერთნიშნა      2) ორნიშნა      3) სამნიშნა      4) ოთხნიშნა

2 ბ) რა ნაშთს ვიღებთ, მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვის 2-ზე გაყოფის შედეგად?  
1) ერთს      2) ორს      3) სამს      4) ოთხს

7 გ) მასწავლებელმა რა რიცხვი დაწერა დაფაზე?  
1) რიცხვი 21      2) რიცხვი 31      3) რიცხვი 61      4) რიცხვი 91

5) მატარებლის შემადგენლობაში 23 ვაგონია. მარიაში შეცდომით ბოლოდან მესამე ვაგონში ჩაჯდა. გამცილებელმა იგი 2 ვაგონით წინ გადაიყვანა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენი ვაგონია მატარებლის შემადგენლობაში?  
1) 23 ვაგონი      2) 21 ვაგონი      3) 20 ვაგონი      4) 19 ვაგონი

5 ბ) რომელ ვაგონში ჩაჯდა მარიაში შეცდომით?  
1) ოცდამეერთეში      2) მეოცეში      3) მეცხრამეტეში      4) მეთვრამეტეში

7 გ) რამდენი ვაგონია იმ ვაგონის წინ, რომელშიც გამცილებელმა მარიაში გადაიყვანა?  
1) 17 ვაგონი      2) 18 ვაგონი      3) 19 ვაგონი      4) 20 ვაგონი

6) სასწორის მარჯვენა მხარეს 15 კილოგრამი შაქარი დევს, მარცხენა მხარეს კი – სამი ერთნაირი ნესვი. სასწორი მარჯვნივაა გადახრილი. თუ სასწორის მარცხენა მხარეს კიდევ ერთ ისეთივე ნესვს დავამატებთ, სასწორი მაინც მარჯვნივ დარჩება გადახრილი, ხოლო თუ ორ ისეთივე ნესვს დავამატებთ, მაშინ სასწორი გადაიხრება მარცხნივ.


პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენი კილოგრამი შაქარი დევს სასწორის მარჯვენა მხარეს?  
1) 3 კგ      2) 5 კგ      3) 8 კგ      4) 15 კგ

2 ბ) რამდენი ნესვი დევს სასწორის მარცხენა მხარეს?  
1) ორი      2) სამი      3) ოთხი      4) ხუთი


5 გ) ყველაზე ცოტა რამდენი ნესვი უნდა დავამატოთ სასწორის მარცხენა მხარეს, რომ იგი გადაიხაროს მარცხნივ?  
1) ერთი      2) ორი      3) ოთხი      4) ხუთი

7 დ) რას იწონის ერთი ნესვი?  
1) ზუსტად 5 კგ-ს      2) 5 კგ-ზე მეტს      3) 5 კგ-ზე ნაკლებს      4) ზუსტად 4 კგ-ს


 7) მოსწავლემ რვეულში ოთხი ერთმანეთის მომდევნო რიცხვი ჩაწერა. მათ შორის ერთ-ერთი იყო რიცხვი 3. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა მცდარი?


- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ნამრავლი შეიძლება იყოს 8-ის ჯერადი;
- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ნამრავლი შეიძლება იყოს 10-ის ჯერადი;
- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ნამრავლი შეიძლება იყოს ერთნიშნა რიცხვი.

- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) **არცერთი**

 8) მართკუთხედის პერიმეტრის გამომსახველი რიცხვი, ამავე მართკუთხედის ფართობის გამომსახველ რიცხვზე 1-ით მეტია. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი შეიძლება იყოს ამ მართკუთხედის სიგრძე და სიგანე?


- 1) 3 სმ და 2 სმ      2) 2 სმ და 1 სმ      3) 4 სმ და 3 სმ      4) **5 სმ და 3 სმ**

 9) ABCD კვადრატი თექვსმეტ ტოლ კვადრატად არის დაყოფილი (ნახ 1). KMFN კვადრატის პერიმეტრია 12 სმ. რას უდრის ABCD კვადრატის პერიმეტრი?




ნახ. 1


- 1) 18 სმ-ს      2) **24 სმ-ს**      3) 36 სმ-ს      4) 48 სმ-ს

 10) მაღაზიაში მხოლოდ ლურჯი და წითელი ქუდები იყიდება. მაიამ, ნატომ და ეკამ თითო-თითო ქუდი იყიდეს. მაიამ და ეკამ სხვადასხვა ფერის ქუდები იყიდეს, ასევე სხვადასხვა ფერის ქუდები იყიდეს ნატომ და ეკამ. რა ფერის ქუდი იყიდა ნატომ, თუ მაიას არ უყიდა წითელი ქუდი?

- 1) **ლურჯი**      2) წითელი      3) ყვითელი      4) ამის გაგება შეუძლებელია

 11) სალომეს 6 ხუთლარიანი და 7 ოცლარიანი ჰქონდა. მათემ სალომეს ფულის 7 კუპიურა მისცა, რომელთაგან რამდენიმე ხუთლარიანი იყო, დანარჩენი კი – ოცლარიანები. სალომეს ამის შემდეგ თანხა ხუთლარიანებით, 100 ლარით ნაკლები გაუხდა, ვიდრე – ოცლარიანებით. რამდენი ხუთლარიანი მიუცია მათეს სალომესთვის?

- 1) ორი      2) **ექვსი**      3) ათი      4) ოცდაათი

 12) ნინიკომ მაღაზიაში თავისი ფულის ნახევარი და კიდევ 4 ლარი დახარჯა. ამის შემდეგ მას 4-ჯერ ნაკლები თანხა დარჩა, ვიდრე ჰქონდა თავდაპირველად. რამდენი ლარი ჰქონდა ნინიკოს თავდაპირველად?

- 1) 32 ლარი      2) 28 ლარი      3) **16 ლარი**      4) 12 ლარი